სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 2021-05

ქ. თბილისი *30 დეკემბერი 2021 წელი.*

ერთის მხრივ, ***ერედვის მუნიციპალიტეტი (ს/კოდი: 218065055)*** *(შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის* ***ოთარ ცოტნიაშვილის*** *სახით და მეორეს მხრივ,* ***შ.პ.ს. ვიჯი,*** *მისი დირექტორის* ***გიორგი მეტრეველის*** *სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“)* ***(ს/კ 400201955),*** *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული "გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-2 მუხლის ა) პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) შემდეგზე:*

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. *„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.*
1.2. *„ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.*
1.3. *„შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.*
1.4. *„მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს მომსახურებას, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.*
1.5. *„დღე,“ „კვირა,“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.*

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ერედვის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის https://eredvi.gov.ge/ ჰოსტინგის მომსახურების გაწევა ამ ხელშეკრულების დანართში მოცემული ტექნიკური დავალების შესაბამისად ***(CPV: 72415000 – მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგი).***

3. მხარეთა მოვალეობები

3.1 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

3.1.1 გაუწიოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლში მითითებული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.1.2 თუკი ხელშეკრულების მეორე მუხლით გათვალისწინებული მომსახურება არ აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისი, გამოასწოროს ეს ნაკლი.

3.2 <u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>

3.2.1 მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის/საგნის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

3.3 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

3.3.1 მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

3.3.2 უზრუნველყოს შესყიდვის საგნის მიღება.

3.4 <u>შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>

3.4.1 მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების <u>(ჰოსტინგის მომსახურება)</u> ერთეულის ფასები მოცემულია თანდართულ გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვაში, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

4.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **60 (სამოცი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

4.3 ამ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 ანგარიშსწორებისთვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი. მიმწოდებელი ვალდებულია, მიაწოდოს შემსყიდველს ყველა შესაბამისი ფინანსური დოკუმენტაცია. ანგარიშსწორება ყოველთვიურად, საანგარიშო თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მხრიდან საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (არსებობის შემთხვევაში) გამოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. 2021 წლის დეკემბერის თვეში გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება შეიძლება განხორციელდება 2022 წლის იანვარში.

5.2 ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

5.3 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და მიღება-ჩაბარების წესი

6.1 ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემდეგნაირად:

(ბ) ჰოსტინგის მომსახურება – 2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2 შესყიდვის ობიექტი/საგანი ჩაითვლება მიღებულად მას შემდეგ რაც მხარეებს შორის გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლება შემსყიდველის მხრიდან ენიჭება ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს - ალექსანდრე მაისურაძეს.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მხრიდან ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

8. ხელშეკრულების ინსპექტირება

8.1 შემსყიდველი ახორციელებს კონტროლსა და ზედამხედველობას მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პი-რობების შესრულებაზე.

8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელება შემსყიდველის მხრიდან ევალება ერედვის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ სამსახურს.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებით;

ბ) მხარეთა შეთანხმებით;

გ) მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

***10.* მხარეთა პასუხისმგებლობა**

10.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯე-როვანი შესრულება გამოიწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება ჯარიმის გადახდა ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0.5 %-ის ოდენობით.

10.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს საჯარიმო თანხის გადახდა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10.5 რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებას იტოვებს, მოითხოვოს დამრღვევი მხარისგან, ხოლო ამ შემთხვევაში დამრღვევი მხარე ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების, ან ვადის გადაცილებისათვის თუკი ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის ობიექტურად შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება, ან ჯეროვანი შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედება, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, მომსახურების მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, სახელწიფო გადატრიალება და სხვ.).

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომისას, ხელშეკრულების მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, პირველი შესაძლებლობისთანავე უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს, გამონახოს ვალდებულების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებებისაგან.

12. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

12.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

12.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

13.1 ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

13.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების ინიციატორი ვალდებულია, ამის შესახებ წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება უნდა გაფორმდეს ახალი შეთანხხმების სახით მხარეების, ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების მიერ, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებას, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. საგარანტიო პირობები

15.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ 2021 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, განახორციელოს საიტის ტექნიკური მხარდაჭერის სერვისი, მათ შორის: ვებ-გვერდის გაშვების შემდეგ აღმოჩენილი ხარვეზების აღმოფხვრა და უფასო კონსულტაცია (სატელეფონო და ელ. ფოსტის მეშვეობით). ხარვეზების იდენტიფიცირების შემდეგ, შემსყიდველი ელ. ფოსტის საშუალებით აცნობებს მიმწოდებელს ინციდენტების/ხარვეზების შესახებ და ითხოვს მასზე რეაგირებას. თავის მხრივ, მიმწოდებელმა უნდა მოახდინოს ხარვეზების აღმოფხვრა მაქსიმუმ 1 (ერთი) დღის განმავლობაში. ამასთან, მიმწოდებელს უფლება აქვს, საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხარვეზების შესახებ წერილის მიღების შემდეგ მოითხოვოს მისი დაზუსტება (მაქსიმუმ 3 საათის განმავლობაში). შემსყიდველის მხრიდან ხარვეზების დაზუსტების შემდეგ ხარვეზების აღმოფხვრისათვის დადგენილი ვადების ათვლა დაიწყება თავიდან.

16. დავების გადაჭრის წესი

16.1 ხელშეკრულების შესრულების დროს წამოჭრილი ყველა დავა შეძლებისდაგვარად გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს საქართველოს სასამართლო.

17. დასკვნითი დებულებანი

17.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.
17.2. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი გაფორმების შედეგად.
17.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.
17.4. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის (ან მისი ნაწილის) გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.
17.5. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება საჭიროებს წერილობით ფორმას. მხარეთა შორის ზეპირი შეტყობინებები ან/და შეთანხმებები სადაოობის, ურწმონოების ან უზუსტობების შემთხვევაში იურიდიული ძალის არმქონეა.
17.6. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
17.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ „„ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, რომელთაგან თითოეული მხარის ელექტრონული ვერსია ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

18. მხარეთა ხელმოწერები

„შემსყიდველი“:

ერედვის მუნიციპალიტეტი
მის.: ქ. თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზ. N89/24
eredvismunicipaliteti@yahoo.com
ტელ: 599 08 32 22
ს/კ: 218065055
სახელმწიფო ხაზინა
კოდი TRESGE22
ა/ა GE24NB0330100200165022

_____

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი
/ოთარ ცოტნიაშვილი/

Eredvi Municipality
Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2020.12.30 20:42:46 +04'00'

„მიმწოდებელი“:

შპს „ვიჯი“
მის: ქ. თბილისი, ზღვისუბნის დასახლება III მ/რ II კვ. კორ. 23 ბ. 96
fmotodayltd@gmail.com
ტელ: 593391143
ს/კ: 400201955
სს „თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE12TB7162336080100008

_____

შ.პ.ს. „ვიჯი“-ს დირექტორი
/გიორგი მეტრეველი/

წინამდებარე ხელშეკრულება მხარეების მიერ ხელმოწერილია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით „ელექტ-რონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ტექნიკური დავალება

ამ ხელშეკრულების მე-2 მუხლის საფუძველზე მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ერედვის მუნიციპალიტეტის ვებ გვერდის https://eredvi.gov.ge/ ჰოსტინგის მომსახურების გაწევა შემდეგნაირად:

ერედვის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი უნდა განთავსდეს გლობალურ ქსელში ჩართულ სერვერზე. სასერვერო სივრცე (ვებ-სივრცის მოცულობა: 2 GB, საფოსტო ყუთების რაოდენობა – არაუმეტეს 10, ქვედომეინების რაოდენობა: ულიმიტო) 2021 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით გამოყოფილ უნდა იქნეს მიმწოდებლის მიერ;

გლობალურ ქსელთან დაშვების სიჩქარე: მინიმუმ 10 მბ/წმ; ლოკალურ ქსელთან დაშვების სიჩქარე: მინიმუმ 100 მბ/წმ;

გარანტირებულ მიწოდების დრო – სერვისის მიწოდების აფთაიმი (წვდომის დრო) უნდა შეადგენდეს 99,5%-ს, მაგრამ დასაშვები სერვისის მიუწვდომლობის დრო არ უნდა აღემატებოდეს 2 საათს ერთ ჯერზე;

იმ შემთხვევაში, თუ სერვისი დაგეგმილი ან დაუგეგმავი მიზეზების გამო მიუწვდომელი იქნება, მიმწოდებელი ვალ-დებულია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შეატყობინოს შემსყიდველს, თუ რა პერიოდის განმავლობაში იქნება/ იყო სერვისი გათიშული შესაბამისი დროის მითითებით;
მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს სერვერზე განთავსებული ყველანაირი ინფორმაციის ყოველდღიური ავტომატური სარეზერვო ასლის შენახვის უზრუნველყოფა და ინციდენტის შემთხვევაში სარეზერვო ასლიდან აღდგენა ინციდენტიდან მაქიმუმ 2 საათის განმავლობაში;

მიმწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს აგრეთვე მაქსიმალური დაცვის უზრუნველყოფა საიტზე არასანქცირებული შეღწევის ალბათობის მინიმუმამდე შესამცირებლად.

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი	**შ.პ.ს. „ვიჯი“-ს დირექტორი**
_____	_____
/ოთარ ცოტნიაშვილი/	**/გიორგი მეტრეველი/**

Eredvi Municipality

Digitally signed by Eredvi Municipality
Date: 2020.12.30 20:43:21 +04'00'

დანართი N2

გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა

№	მომსახურების აღწერა	თვეების რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	მომსახურების ღირებულება (ლარი)
1	**ჰოსტინგის მომსახურება** (ხელშეკრულების პირობების შესაბამისად)	12	5,00	60,00
	სულ:			60,00

შენიშვნა:

1. ჰოსტინგის მომსახურების მიზნებისთვის **„რაოდენობაში“** იგულისხმება მომსახურების გაწევის პერიოდი (2021 წლის 01 იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი, სულ 12 თვე), ხოლო **„ერთეულის ფასში“** – 1 თვის მომსახურების ღირებულება.

შემსყიდველი:

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

_____

/ოთარ ცოტნიაშვილი/

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. „ვიჯი“-ს დირექტორი

_____

/გიორგი მეტრეველი/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის
არ არსებობის შესახებ

ქ. თბილისი **30 დეკემბერი 2020 წ.**

ჩვენ ქემოთ ხელის მომწერნი, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა ერედვის მუნიციპალიტეტის მიერ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შ.პ.ს. „ვიჯი“-სგან ვებ გვერდის ჰოსტინგის მომსახურების **(CPV: 72415000 – მსოფლიო ქსელის (www) გვერდის ჰოსტინგი).** შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგებელი

---------- ოთარ ცოტნიაშვილი

ერედვის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი

- ---------- ალექსანდრე მაისურაძე